

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების
განსხვავებული კონცეფციები (ელიტების თეორიის მიხედვით)

ვასილ ცხვარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებებში
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვასილ ცხვარაშვილი

18. 06. 2014

ანოტაცია

მოცემული კვლევის ობიექტს წარმოადგენს იმ კონკრეტულ მიზეზთა დადგენა, რომლებიც იწვევენ „რესპუბლიკური“ და „დემოკრატიული“ მთავრობების განსხვავებულ ხედვებს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების კუთხით. დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომში განხილულ იქნება ზემოხსენებული ორივე პარტიის წინასაარჩევნო პოლიტიკური პლატფორმები, ასევე ქვეყნის უკანასკნელი პრეზიდენტების, ჯორჯ ბუში უმცროსისა და ბარაკ ობამას მოღვაწეობის კონკრეტული ეპიზოდები, კერძოდ: ერაყის ომი, სირიის კრიზისი და „გადატვირთვის“ პოლიტიკა.

კვლევის მიზანია, ჰიპოთეზის დამტკიცება, რომლის მიხედვითაც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების „რესპუბლიკურ“ და „დემოკრატიულ“ კონცეფციებს ერთმანეთისგან განასხვავებთ აგრესიულობა, რადიკალურობა, გადაწყვეტილების სიმტკიცე, რაც განპირობებულია აღნიშნული ორი პარტიის განსხვავებული მრწამსითა და იდეოლოგიით. მოსაზრება გამყარებულია „ელიტების თეორიის“ ერთ-ერთი მიმდევრის, ვილფრედო პარეტოს თეორიით, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობენ „ლომებისა“ და „მელიების“ ტიპის მმართველი ელიტები. ჰიპოთეზის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, „ლომები“ არიან „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლები, ხოლო „მელიები“ – „დემოკრატები“.

საბოლოოდ, ნაშრომი საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ, თუ რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს დღესდღეისობით მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს კონკრეტული ადმინისტრაციების მხრიდან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ამერიკის შეერთებული შტატები, ეროვნული უსაფრთხოება, „რესპუბლიკელები“,ჯორჯ ბუში უმცროსი, ერაყის ომი, „დემოკრატები“, ბარაკ ობამა, სირიის სამოქალაქო ომი, „გადატვირთვის“ პოლიტიკა.

Abstract

Aim of this research is to find the reasons that cause the difference between the views of republican and democratic governments concerning the priorities of national security. Pre-election political platforms of both parties, also episodes of George Bush's and Barack Obama's governance, particularly - Iraq War, Syria crisis and “reset” policy will be discussed in this work, in order to attain the abovementioned aim.

This work is aiming to prove the hypotheses, according to which aggression and firmness of decision are the main factors that differ the conceptions of national security of Democratic and Republican parties, caused by the difference between ideology and belief of these two sides. This opinion is supported by one of the followers of the “theory of elites”, Vilfredo Pareto, who thinks that there are two kinds of governing elites – “lions” and “foxes”. In case of USA, representatives of Republican Party are “lions” and Democrats are “foxes”.

To summarize, this work enables us to determine what to expect nowadays from the particular administrations of the strongest country.

Key Words: United States of America, National Security, Republicans, Democrats, George W. Bush, Iraq War, Barack Obama, Syria Civil War, “Reset” Policy.